ბათუმში, დემეტრე თავდადებულის ქ. N47-ში მდებარე სსიპ ბათუმის N1 საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე სპორტული დარბაზის დემონტაჟისა და დამატებითი კორპუსის მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის სახელმწიფო შესყიდვის საკონკურსო განცხადება

წინამდებარე საკონკურსო განცხადება შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N3 ბრძანების საფუძველზე

.

ქალაქი ბათუმი

2014 წელი

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. საკონკურსო განცხადება 3
2. დანართი N1 – ტექნიკური დავალება 6
3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი 8
4. დანართი N3 – პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენი რეკვიზიტების ჩამონათვალი 12

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო (მის: ქ. ბათუმი, ლადო გუდიაშვილის ქ. N4) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის სახსრებით აცხადებს კონკურსს ბათუმში, დემეტრე თავდადებულის ქ. N47-ში მდებარე სსიპ ბათუმის N1 საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე სპორტული დარბაზის და დამხმარე ფართის დემონტაჟისა და დამატებითი კორპუსის მშნებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. შესყიდვის ობიექტია: ბათუმში, დემეტრე თავდადებულის ქ. N47-ში მდებარე სსიპ ბათუმის N1 საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე სპორტული დარბაზის დემონტაჟისა და დამატებითი კორპუსის მშნებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.

3. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს არაუმეტეს 15000 (თხუთმეტი ათასი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

4. დაინტერესებულმა პირებმა საკონკურსო წინადადება (ერთ დალუქულ კონვერტში) და საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი უნდა წარმოადგინონ 2014 წლის 01 დეკემბრის 14 საათიდან 16 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ლადო გუდიაშვილის ქ. N4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

5. კონკურსი ჩატარდება 2014 წლის 01 დეკემბერს 17 საათზე შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ლადო გუდიაშვილის ქ. N4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

6. კონკურსში მონაწილეობის საფასური:
6.1. საკონკურსო წინადადების წარდგენისთვის პირი იხდის საფასურს კანონის 19[1] მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ოდენობით. (50 ორმოცდაათი ლარი). საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (http://procurement.gov.ge).
6.2. საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:
ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;
ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

პირის მიერ 6.2. პუნქტით გათვალისწინებული მონაცემების დარღვევით გაცემული დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

7. საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს არ განიხილება.

8. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება გაუხსნელად დაუბრუნდება კონკურსანტს.

9. წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება მოქმედებს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე.

10. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე. დოკუმენტების და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

11. დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს საკონკურსო კომისია.

12. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი და ინფორმაცია ხელმოწერილი და ბეჭედდასმული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება).

13. საკონკურსო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

14. თუ კონკურსანტი არ არის დღგ-ს გადამხდელი საკონკურსო წინადადება წარმოდგენილი უნდა დღგ-ს გარეშე. ამ შემთხვევაში წინადადების ფასის და დღგ-ს ოდენობის ჯამი არ უნდა აღემატებოდეს შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას.

15. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში. ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
მიმწოდებელი ვალდებულია 2014 წლის 15 დეკემბრამდე წარუდგინოს შემსყიდველს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული კომერციული ბანკის ან სადაზღვევო ორგანიზაციის მიერ გაცემული საბანკო გარანტია ხელშეკრულების ღირებულებაზე, რის შემდეგაც აღნიშნული თანხა ჩაერიცხება ავანსად. გარანტიის მოქმედების ვადა უნდა იყოს არანაკლებ 2015 წლის 31 აპრილამდე.

16. კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს:
ა) დიზაინი და საორიენტაციო პროექტი, კერძოდ:
- განმარტებითი ბარათი (არქიტექტურული, კონსტრუქციული და ტექნიკური გადაწყვეტა, ელ. ენერგიის, გათბობისა და წყლის სიმძლავრეების წინასწარი მიახლოებითი გაანგარიშება);
- შენობის 3D-ვიზუალი (რენდერი);
- სართულების (პანდუსის ჩვენებით) ესკიზური გეგმები.
ბ) საკონკურსო წინადადების ფასი, რეკვიზიტები დანართი N2-ის მიხედვით.
გ) გამოცდილების და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები: 1) ძირითადი სპეციალისტების შესაბამისი განათლების დამადასტურებელი მოწმობის (დიპლომი) ასლები. 2) პირის (ორგანიზაცია) მიერ გაწეული ანალოგიური მომსახურების (საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიწოდება) გაწევის შესახებ ინფორმაცია 2012 წლის 1 იანვრიდან კონკურსის გამოცხადების თარიღამდე (წარმოსადგენია შემსყიდველ ორგანიზაციებთან გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტები).

შენიშვნა: ყველა ზემოაღნიშნული დოკუმენტი წარმოდგენილი უნდა იქნას ელექტრონული სახითაც pdf ფორმატით. ამასთან თითოეული ფაილის მოცულობა არ უნდა იყოს 5 მბ-ზე მეტი.

17. საკონკურსო წინადადების შეფასება განხორციელდება შემდეგი კრიტერიუმებით:
1. დიზაინი და საორიენტაციო პროექტი - 0.7.
2. საკონკურსო წინადადების ფასი - კოეფიციენტი - 0.1.
3. გამოცდილება და კვალიფიკაცია - კოეფიციენტი - 0.2.
შეფასება განხორციელდება 10 ქულიანი სისტემით. კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ მიენიჭება ყველაზე მაღალი ჯამური ქულა, მაგრამ არანაკლებ 7 ჯამური ქულა. ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებული ქულა.

18. გამარჯვებულმა კონკურსანტმა უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან არაუგვიანეს 50 კალენდარული დღის ვადაში სამშენებლო დოკუმენტის პროექტის წარმოდგენა 7 (შვიდი) ეგზემპლარად და ელექტრონული ვერსიით PDF და DWG ფორმატში.

19. კონკურსი ტარდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N3 ბრძანების შესაბამისად.

20. საკონკურსო განცხადებასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება კონკურსანტს შეუძლია შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ლადო გუდიაშვილის ქ. N4. მე-3 სართული. საკონტაქტო პირი: მირზა ბოლქვაძე, ტელ: 599520092.

ტექნიკური დავალება

შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს ბათუმში, დემეტრე თავდადებულის ქ. N47-ში მდებარე სსიპ ბათუმის N1 საჯარო სკოლის კუთვნილ ტერიტორიაზე სპორტული დარბაზის და დამხმარე ფართის დემონტაჟისა და დამატებითი კორპუსის მშნებლობის საპროექტო-სახრჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რომელიც უნდა შედგებოდეს არქიტექტურული, კონსტრუქციული, საინჟინრო-კომუნალური შიგა და გარე ქსელების პროექტისაგან. ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს ხარჯთაღრიცხვა.

დასაპროექტებელი შენობა-ნაგებობის ერთი სართულის სავარაუდო ფართობი უნდა იყოს 380-430 კვ. მეტრი, სართულიანობა - 4 სართული. დასაპროექტებელი შენობა მდებარეობს საზოგადოებრივ-საქმიან ზონაში (სსზ-1), რომლისთვისაც დადგენილია: განაშენიანების კოეფიციენტი K1=0,6; განაშენიენების ინტენსივობის კოეფიციენტი K2=3,0.

ძირითადი მოთხოვნა:

მომზადებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია სრულ შესაბამისობაში უნდა იყოს „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილებით, „საქართველოს მიერ სხვა ქვეყნების ტექნიკური რეგლამენტების აღიარებისა და მოქმედების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 24 თებერვლის N45 დადგენილებით და „საქართველოს ტერიტორიაზე ტექნიკური ზედამხედველობისა და სამშენებლო სფეროში 1992 წლამდე მოქმედი ნორმების, წესების და ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტების გამოყენების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2010 წლის 18 თებერვლის №1-1/251 ბრძანებით განსაზღვრულ პირობებთან.

შენობის გეგმარება:

1. სასურველია შენობის ფართი იყოს მაქსიმალური, შესაბამისი კოეფიციენტების გათვალისწინებით;
2. შენობა უნდა იყოს 4 სართულიანი და კონსტრუქციულად დამოუკიდებელი სკოლის არსებული ძირითადი შენობისგან.
3. შენობის მე-4 სართულზე უნდა მოეწყოს სპორტული დარბაზი, გასახდელებითა და ინვენტარის ოთახით. სასურველია ამავე სართულზე (მ.შ. - ანტრესოლზე) მოეწყოს მცირე დარბაზი, რომლის ფართობიც უნდა იყოს 100-130 კვ.მ.
4. დანარჩენ სართულებზე უნდა მოეწყოს საკლასო ოთახები. ერთ სართულზე სასურველია 5 საკლასო ოთახის დაპროექტება - თითოეული დაახლოებით 40-50 კვ. მეტრი ფართობით; ამათგან 1 ან 2 საკლასო ოთახი შეიძლება ნაკლები ფართობის იყოს, მაგრამ არაუმცირეს 30 კვ. მეტრისა.
5. სველი წერტილები განთავსდეს შემდეგნაირად: პირველი სართულზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, მეორე სართულზე - გოგონებისათვის, მესამე სართულზე - ვაჟებისათვის. ასევე მასწავლებლებისათვის გათვალისწინებული უნდა იყოს 1 სველი წერტილი მთელ შენობაში.
6. მოეწყოს პანდუსი პირველ სართულზე.

სამშენებლო დოკუმენტის პროექტი უნდა შეიცავდეს:

1. ტოპო გეგმას;

2. მიწის ნაკვეთის საინჟინრო-გეოლოგიურ კვლევას/დასკვნას;
3. მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს.
4. არქიტექტურულ ანაზომს (ფასადები, გეგმები, ჭრილები);
5. არქიტექტურულ პროექტს (ტერიტორიის კეთილმოწყობის პროექტის გათვალისწინებით);
6. კონსტრუქციულ პროექტს სათანადო დეტალიზაციით;
7. შენობა-ნაგებობის ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო-კომუნალური და გარე ქსელების სქემებს (არსებული საპროექტო ტერიტორიის ფარგლებში;
8. ელექტრომომარაგების შიგა ქსელის პროექტს, გათბობის პროექტს და წყალგაყვანილობის პროექტს (არსებულ ქსელებზე მიერთებით, ასევე საჭიროების შემთხვევაში პროექტში გათვალისწინებული უნდა იქნას სიმძლავრის გაზრდა);
9. სუსტი დენების პროექტს;
10. მშენებლობის ორგანიზების პროექტს;
11. შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვას.
12. განმარტებით ბარათს საპროექტო ობიექტის აღწერითა და ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებით.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, ტექნიკური მასალები, სპეციფიკა-ციები, გეგმები, ნახაზები, ესკიზები, მომსახურეობის აღწერილობა და სხვა უნდა ასახავდეს სამუშაოების ობიექტურ-ტექნიკურ და ხარისხობრივ პარამეტრებს, რომლებიც უნდა ეფუძნებოდეს საქართველოში მოქმედ ყველა ნორმებსა და წესებს, მოთხოვნებს, ტერმინოლოგიასა და პირობით აღნიშვნებს;

იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოების შესრულების პროცესში აღმოჩნდება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გაუთვალისწინებელი დამატებითი სამუშაოების შესრულების აუცილებლობა, ამ დამატებითი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა განხორციელდება ანაზღაურების გარეშე. პროექტირების პერიოდში საპროექტო დავალებით გაუთვალისწინებელი სამუშაოების დაპროექტების საკითხი წერილობით თანხმდება შემსყიდველთან.

შენიშვნა: კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს 7 ეგზემპლარად და ელექტრონული (PDFდა DWG) ვერსიით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის სისწორეზე კანონმდებლობის შესაბამისად პასუხს აგებს შემსრულებელი და უზუსტობის შემთხვევაში შემსრულებელი დაჯარიმდება შესასყიდი სამუშაოს საერთო ღირებულების 10 %-ის ოდენობით და დოკუმენტაციაში შესწორება მოხდება ანაზღაურების გარეშე.

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N

ქალაქი ბათუმი 2014 წელი

ერთის მხრივ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი ---------- სახით და მეორეს მხრივ „----------“ (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი ---------- სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და *პრეტენდენტის (დასახელება)* სატენდერო წინადადების საფუძველზე, შემსყიდველის მიერ ჩატარებული გამარტივებული ელექტრონული ტენდერის (სატენდერო განცხადება NSPA….) შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება მასზე თანდართული ყველა დოკუმენტითა და დამატებებით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ;
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ;
1.3. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.4. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
1.5. “დღე”, “კვირა”, “თვე” – კალენდარული დღე, კვირა, თვე;
1.6. „მომსახურება“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;
1.7. „ტექნიკური დავალება“ – შემსყიდველის მიერ სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული „ტექნიკური დავალება“ რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. შესყიდვის ობიექტია ბათუმში, დემეტრე თავდადებულის ქ. N47-ში მდებარე სსიპ ბათუმის N1 საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე სპორტული დარბაზის დემონტაჟისა და 4-სართულიანი კორპუსის მშნებლობის საპროექტო-სახრჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (CPV7124200) და მოწოდება 7 ეგზემპლარად და ასევე ელექტრონული სახით CD დისკზე.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს ---- (------) ლარს.
3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა სავარაუდო ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

4. მომსახურების გაწევის ვადა, ადგილი და მიღება-ჩაბარების წესი

4.1. მომსახურების გაწევის ვადა შეადგენს ხელშეკრულების გაფორმებიდან 50 კალენდარულ დღეს.
4.2. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიწოდება უნდა განხორციელდეს შემსყიდ-ველის იურიდიულ მისამართზე.
4.3. მომსახურების მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები.
4.4. შემსყიდველის მხრიდან მომსახურების მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი წარმომადგენლები არიან ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირები.

4.5. მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ ფაქტობრივად მიწოდებული მომსახურების დასახელების, რაოდენობისა და ღირებულების მითითებით შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
4.6. თუ მომსახურება არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი მიმწოდებელთან ერთად, ან მის გარეშე, ადგენს აქტს დადგენილი წესის შესაბამისად.
4.7. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს შემოწმების შედეგები, დაწუნებული მომსახურების რაოდენობა და წუნდების მიზეზი.

5. ანგარიშსწორების ფორმა, წესი და ვადები

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ხელშეკრულებით გათვალსწინებულ რეკვიზიტებზე ეროვნულ ვალუტაში.
5.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება ხელშეკრულების მე-4 მუხლით განსაზღვრული წესით შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან ან/და საგადასახადო დოკუმენტის წარმოდგენიდან 15 დღის ვადაში.
5.3. მიმწოდებელი ვალდებულია საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაზე მიუთითოს ყველა საჭირო რეკვიზიტი. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს დოკუმენტი.
5.4. მიმწოდებელი ვალდებულია 2014 წლის 15 დეკემბრამდე წარუდგინოს შემსყიდველს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული კომერციული ბანკის ან სადაზღვევო ორგანიზაციის მიერ გაცემული საბანკო გარანტია ხელშეკრულების ღირებულების ფარგლებში ამ დროისათვის აუთვისებელ თანხაზე, რის შემდეგაც აღნიშნული თანხა ჩაერიცხება ავანსად. გარანტიის მოქმედების ვადა უნდა იყოს არანაკლებ 2015 წლის 31 აპრილამდე.

6. გარანტია

6.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების ხარისხი, სტანდარტები, ტექნიკური პარამეტრები, ძირითადი მახასიათებლები უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს და საქართველოში არსებულ წესებსა და ნორმებს.
6.2. 6.1. პუნქტში აღნიშნული პირობებიდან გადახვევის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს მომსახურება ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები.
6.3. მიმწოდებელი პასუხისმგებელია სრულყოფილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ხარისხიანად დამუშავებაზე და შედგენაზე.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.
7.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს შემსყიდველის შესაბამისი ბრძანებით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.
7.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი ხორციელდება სისტემატიურად.
7.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1 პროცენტის ოდენობით.
8.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით განსაზღვრული ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
8.3. წარმოდგენილი დოკუმენტაციის სისწორეზე კანონმდებლობის შესაბამისად პასუხს აგებს შემსრულებელი და უზუსტობის შემთხვევაში შემსრულებელი დაჯარიმდება შესასყიდი სამუშაოს საერთო ღირებულების 10 %-ის ოდენობით და დოკუმენტაციაში შესწორება მოხდება ანაზღაურების გარეშე.

9. დაუძლეველი ძალა

9.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აცნობოს ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „დაუძლეველი ძალა“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.
9.3. თუ მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ვალდებულებებს, მან ამის შესახებ დაუყოვნებლივ, არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს აღნიშნული გარემოების დადგომის (დასრულების) შესახებ.
9.4. 9.3. პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარე არ გათავისუფლდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
9.5. მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
10.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:
ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია გასწიოს მომსახურება ან მისი ნაწილი;
ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;
გ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
11.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
11.3. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

12. სადავო საკითხების გადაწყვეტა

12.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
12.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიმართოს სასამართლოს.

13. სხვა პირობები

13.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე. მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
13.2. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საავტორო ზედამხედველობა პროექტის განხორციელების პროცესში, საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით კონსულტაციის გაწევა, საჭიროების შემთხვევაში საპროექტო/სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის კორექტირება შემსყიდველის მომართვის საფუძველზე დამატებითი ანაზღაურების მოთხოვნის გარეშე.
13.3. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.
13.4. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული წერილის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.
13.5. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის შესრულდება ქართულ ენაზე.
13.6. ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ორი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან და ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2014 წლის 31 მარტამდე.

15. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი: **მიმწოდებელი:**

საკონკურსო წინადადების ფასი და რეკვიზიტები

სამართლებრივი ფორმა:

საფირმო სახელწოდება:

იურიდიული მისამართი:

ფაქტობრივი მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

ელექტრონული ფოსტის მისამართი:

ტელეფონის ნომერი:

მომსახურე ბანკის დასახელება:

მომსახურე ბანკის მფო:

ანგარიშსწორების ანგარიშის ნომერი:

საკონკურსო იწნადადების ფასი:

ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი
(სახელი და გვარი)

ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის
მობილური ტელეფონის ნომერი:

შენიშვნა:

კონკურსატის მიერ წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი უნდა იყოს ხელმოწერილი.

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 05.22.47.002**

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882014452270 - 26/08/2014 10:26:02

მომზადების თარიღი
02/09/2014 14:50:38

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
ბათუმი	სექტორი 22		
05	**22**	**47**	**002**

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი: 2644.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი: **05.02.47.006;**
შენობა-ნაგებობ(ებ)ის საერთო ფართი: 3931.24

მისამართი: ქალაქი ბათუმი , ქუჩა დ.თავდადებული , N 47 / ქალაქი ბათუმი , ქუჩა დემეტრე თავდადებული , N 47

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 052006004593 , თარიღი 21/06/2006

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- მომართვა N22/1444 , დამოწმების თარიღი:25/05/2006 , აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

მესაკუთრეები:
სახელმწიფო

მესაკუთრე:
სახელმწიფო

აღწერა:

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

სარგებლობა

განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882014452270 თარიღი 26/08/2014 10:26:02

მოსარგებლე: სსიპ "ქალაქ ბათუმის N1 საჯარო სკოლა";
მესაკუთრე: სახელმწიფო;
საგანი:2644 კვ.მ მიწის ნაკვეთი და 3931.24 კვ.მ შენობა-ნაგებობა;

წერილი, რეესტრის ნომერი N01-10/3513, დამოწმების თარიღი01/08/2014, აჭარის ა.რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

უფლების რეგისტრაცია: თარიღი 02/09/2014

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საკადასტრო გეგმა

მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი:	*05 22 47 002*
განცხადების რეგისტრაციის ნომერი:	882010727993
მიწის ნაკვეთის ფართობი:	*2644* კვ.მ.
დანიშნულება:	არასასოფლო-სამეურნეო
კატეგორია:	
მომზადების თარიღი:	04.08.10



01/2	შენობა-ნაგებობა, პირობითი ნომერი/სართულიანობა	ვალდებულება	ხაზობრივი ნაგებობა
	მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი	მშენებარე ნაგებობა	UTM (საერთაშორისო) სისტემის კოორდ.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო: თბილისი 0102 წმ. ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის ქ. 2 ტელ: (995 32) 91 04 27; ფაქსი: (995 32) 91 03 41
ბათუმის სარეგისტრაციო სამსახური. ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. №5
www.napr.gov.ge